ხელშეკრულება №82

კასპი 11.10 2016 წელი

კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანება, შემდგომში „დამკვეთად" წოდებული, წარმოდგენილი დირექტორის, მანანა ხვთისიაშვილის სახით, რომელიც მოქმედებს დებულების საფუძველზე ერთის მხრივ და ი/მ „აკაკი მინდაძე" შემდგომში „შემსრულებლად" წარმოდგენილი დირექტორის აკაკი მინდაძის სახით, წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე თანხმდებიან შემდეგზე.

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე, ი/მ „აკაკი მინდაძე"-მ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანებაში" შემავალ 26 საბავშვო ბაღს გაუწიოს

1.მღ.დეზინსექცია

2. მწ.დერატიზაცია

3. ტუალეტების დეზინფექცია.

2. შესრულებული სამუშაოს ვადები და ღირებულება

2.1. მომსახურეობა ხორციელდება ერთ პირთან მოლაპარაკების საშუალებით.

2.2. მთლიანი ღირებულება შეადგენს 161 (ას სამოცდაერთი)ლარს.

2.3.შესრულებული სამუშაოს შესრულება ხდება შესრულებული სამუშოს აქტის წარმოდგენით რომელსაც ხელისმოწერით ადასტურებს საბავშვო ბაღის გამგე და ზედნადებით,რომელსაც დაადასტურებს გაერთიანების დირექტორი ხელმოწერით და ბეჭდით.

2.4 მომსახურეობის გაწევის ვადაა ხელმოწერის დღიდან 2016 წლის 1 ნოემბრამდე.

3. ანგარიშსწორება მხარეთა შორის

3.1 ანგარიშსწორება მხარეთა შორის ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით.

3.2 ანგარიშსწორება მოხდება გადარიცხვით არაუგვიანეს10 სამუშაო დღისა.

3.3 ანგარიშსწორება წარმოებს ეროვნულ ვალუტაში (ლარი).

3.4 ანგარიშსწორება წარმოებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ მითითებული რვანიშნა კოდით: 90900000 (90921000:90923000).

3.5 ანგარიშსწორება მოხდება გადარიცხვით არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღისა.

3.6 დამკვეთს უფლება აქვს ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მოახდინოს ანგარიშსწორება ნაწილობრივ.

4. მხარეთა უფლება-მოვალეობები

4.1. „დამკვეთი" კისრულობს ვალდებულებას:

4.2. გადაუხადოს შემსრულებელს შესრულებული სამუშაოს ღირებულება ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში.

4.3. „შემსრულებელს " უფლება აქვს:

4.4. მოსთხოვოს „დამკვეთს " შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

5. მხარეთა პასუხისმგებლობა

5.1. წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ხელშეკრულებით შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შედეგად მიყენებული ზიანისათვის მხარეები პასუხს აგებენ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

6. ხელშეკრულების პირობების ინსპექტირება

6.1.ხელშეკრულების ინსპექტირებას დამკვეთის მხრიდან განახორციელებს კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანება.

6.2. გამოვლენილი ნაკლის ან დეფექტის შესახებ დამკვეთი დაუყოვნებლივ აცნობებს შემსრულებელს წუნდების მიზეზების მითითებით.

6.3. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის შემთხვევაში ხარჯების ანაზღაურება ეკისრება შემსრულებელს.

7. ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მოქმედების ვადები

7.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2016 წლის 20 დეკემბრამდე.

8. ზოგადი დებულებები

8.1. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება, მეორე მხარისაგან წერილობითი თანხმობის გარეშე თავისი უფლებები ან ვალდებულებანი გაასხვისოს ან გადასცეს მესამე პირს.

8.2. ხელშეკრულებაში ცვლილებები და დამატებები შეიძლება შეტანილ იქნეს ორივე მხარის წერილობითი თანხმობით.

8.3. მხარეები თანხმდებიან, რომ ის ურთიერთობანი, რომელიც არ იქნა რეგლამენტირებული წინამდებარე ხელშეკრულებით, რეგულირებული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8.4. ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლარად და ორივე ეგზემპლარს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

9. ფორს-მაჟორი

9.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული, როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და მიმწოდებლისათვის ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას.

10. დავათა განხილვის წესი.

10.1. მხარეები შეეცდებიან ურთიერთმოლაპარაკების საფუძველზე გადაჭრან დავები. იმ შემთხვევაში, თუ ისინი ვერ გადაჭრიან დავას, იგი განიხილება სასამართლოს მიერ.

11. მხარეთა რეკვიზიტები:

„დამკვეთი“

,,კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი
აღზრდის დაწესებულებების გაერთიანება;
მისამართი: კასპი, სააკაძის ქ. №68
ს/კ 232559781
ტელ: 577 16 70 05

დირექტორი: მანანა ხვთისიაშვილი

„ შემსრულებელი“
ი/მ „აკაკი მინდაძე''
მისამართი: კასპი, აღმაშენებლის N 8
საბანკო რეკვიზიტები: ს/კ 01024013451
ა/ნ GE94BG0000000552249800
ს.ს ,,საქართველოს ბანკი“ ბ/კ BAGAGE22

დირექტორი აკაკი მინდაძე